



ICC Georgia-ს ახალგაზრდული პროექტი ემსახურება სტუდენტებში პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების მიღებას, კონკურენტუნარიანი ბაზრის პირობებში შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მათი პროფესიული კავშირების ზრდას.

პირველ რიგში ვთვლით, რომ როგორც კერძო სექტორის წარმომადგენელი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბიზნეს-ასოციაცია, რომელიც ოპერირებს არა მარტო საქართველოში, არამედ 120-ზე მეტ სხვა ქვეყანაში, ჩვენი პასუხისმგებლობაა ხელი შევუწყოთ ახალგაზრდების, ანუ ქვეყნის მომავალი თაობის გაძლიერებას.

პროექტში მონაწილე ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ უშუალოდ ჩართული იყვნენ, როგორც ჩვენი პალატის შიდა საქმიანობაში, ასევე გაიცნონ ჩვენი წევრი კომპანიების წარმომადგენლები და აქტიური კომუნიკაცია ჰქონდეთ პალატის მთლიან ქსელთან.

- 1) ICC Georgia-ს ღონისძიებებზე დასწრება, სოციალური ივენთები, კონფერენციები, ბორდის შეხვედრები და ა.შ;
- 2) ICC Georgia-ს ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში ჩართულობა, ადგილობრივ, საერთაშორისო კონფერენციებში, ICCOMERCE-ზე მუშაობის პროცესში ჩართულობა და ა.შ;
- 3) თვეში ერთხელ ახალგაზრდული ბორდის შეკრება და ბრენსტორმინგი, ახალი იდეების მოფიქრება და მათი განხორციელება, პალატის რესურსების შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში, სპონსორების მოძიება პალატის წევრებში);
- 4) შეხვედრები ჩვენი კომიტეტის ჰედებთან;
- 5) გასვლითი ვიზიტები ჩვენი წევრი კომპანიების ოფისებში;
- 6) სტაჟირება ჩვენს წევრ კომპანიებში;
- 7) 1 წლის შემდეგ მოხდება ბორდის თავიდან დაკომპლექტება, ხოლო წინა წევრებისგან შეიქმნება ე.წ. "alumni" ჯგუფი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, პროექტის ახალ წევრებს.

პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ 17-დან 22 წლამდე ახალგაზრდებს.



პროექტით დაინტერესებულმა პირებმა გამოგვიგზავნეთ თქვენი რეზიუმე და სამოტივაციო წერილი (მაქს. 300 სიტყვა):
s.gasviani@icc.ge